



ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 2263
02/10/2019

2263-02-4-201910020912



“მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ” მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის N1203 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება “მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ” მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის N1203 ბრძანებაში, კერძოდ: შეუწყდეს უფლებამოსილება არჩილ მეტრეველს, სამსახურიდან გათავისუფლების გამო. ასევე, შეეცვალოს სტატუსი ბექა სხიერელს - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის-მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი, მიმღები ოპერატორი.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ თანახმად.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი



